Media Advocacy Coalition
კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის

ხელისუფლება დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ შერჩევითი საგადასახადო მიდგომებით მოქმედებს

ტელეკომპანიების, TV პირველის, რუსთავი 2-ის, კავკასიის, ასევე რამდენიმე რეგიონული არხის ანგარიშებზე, საბიუჯეტო დავალიანების გადაუხდელობის გამო, შემოსავლების სამსახურმა საინკასო დავალება წარადგინა. მსგავს ავტომატურ სანქციას საქართველოს ხელისუფლება წლების განმავლობაში არ იყენებდა მსხვილი მაუწყებლების მიმართ.

14 აგვისტოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით, 2016 წლიდან ტელეკომპანია Ḍ□□□□□□ 2 □□□□ ჰქონდა 28 მილიონი, Ḍ□□□□□□ - 19 მილიონი, Ḍ□□□□□□□□ კი 8 მილიონზე მეტი ლარის დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

დღემდე არ არის ცნობილი, როგორ მოხდება აღნიშნული დავალიანების გადახდა ან არსებობს თუ არა საგადასახადო შეთანხმება.

ამ ფონზე ფინანსთა სამინისტრო მკაცრ საგადასახადო პოლიტიკას აწარმოებს დამოუკიდებელი მედიების მიმართ, რომლებსაც არა მილიონობით, არამედ რამდენიმე ათასი, ზოგჯერ კი ათას ლარამდე მიმდინარე დავალიანება აქვთ.

სამწუხაროდ, მაუწყებლების მიმართ შერჩევითი საგადასახადო პოლიტიკის წარმოება იყო და რჩება საქართველოს სხვადასხვა ხელისუფლების იარაღად მედიაზე ზეწოლისათვის. მოქმედმა ხელისუფლებამ მოსვლისთანავე , 2012 წლის ოქტომბერში Ḍ□□□□□□ 2 □□□ - 5 მილიონი, ხოლო □□□□□ □ 13 მილიონი ლარი დავალიანება აპატია. მთავრობის განკარგულებითვე 2015 წელს 16 მილიონი ლარის დავალიანება ჩამოეწერა საზოგადოებრივ მაუწყებელს. ამავე პერიოდში და შემდეგ ხელისუფლება მკაცრი საგადასახადო მოთხოვნებით უდგებოდა სხვა მედიაორგანიზაციებს, რასაც Ḍ□□□□□□□ მედიის ადვოკატირებისათვის“ წევრი ორგანიზაციები პერიოდულად აპროტესტებდნენ.

Ḍ□□□□□□□ მედიის ადვოკატირებისათვის □ მოუწოდებს ფინანსთა სამინისტროს შექმნას თანაბარი საგადასახადო პირობები მაუწყებლებისათვის და საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის პროცესი გახადოს გამჭვირვალე და სამართლიანი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

მედიაკლუბი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ღია საზოგადოების ფონდი

რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსი

ლიბერალური აკადემია თბილისი

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია

სატელევიზიო ქსელი

საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორთა ასოციაცია

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა